საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

GEA GEORGIAN EMPLOYERS ASSOCIATION

NEWSLETTER

თებერვალი, 2019

- დამსაქმებელთა ასოციაციის წევრები ლევან დავითაშვილს შეხვდნენ
- ბიზნეს სექტორი EBRD-ის ახალ პროექტს - Trade Ready გაეცნო
- ბიზნესის მართვის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურ სატრენინგო პროგრამას ILO საქართველოშიც განახორციელებს

დამსაქმებელთა ასოციაციის წევრები ლევან დავითაშვილს შეხვდნენ

ლევან დავითაშვილი: „ბიზნესექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს აქტუალური საკითხების წამოჭრას და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას"

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, დამსაქმებელთა ასოციაციის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე, 100-ზე მეტი კომპანიის წარმომადგენელს შეხვდა. შეხვედრაზე მიმდინარე, დაგეგმილი აქტივობები და ახალი რეგულაციები განიხილეს.

„ჩვენ რეგულარულად ვხვდებით ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს. სამინისტროს მანდატი ბევრ მიმართულებას მოიცავს, შესაბამისად, კითხვები რომლებიც ბიზნეს აქვს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია. დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილეთ ახალი ეტიკეტირების წესი, რომელიც სურსათთან დაკავშირებით მომხმარებლის მაქსიმალურად ინფორმირებას გულისხმობს", - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ რეგულაციაზე, რაც პლასტიკის პარკების აკრძალვას ეხება. მონაწილეებმა სურსათის ეტიკეტირების წესთან დაკავშირებულ ახალ რეგულაციაზეც იმსჯელეს.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, ბიზნესსექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს აქტუალური საკითხების წამოჭრას და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

„დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილეთ ის შედეგები, რომლებიც გასულ წელს დაფიქსირდა სოფლის მეურნეობის პროექტებთან მიმართებაში. ასევე, აქტუალური იყო ის საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც სავალდებულო ხდება. ინფორმაცია მოვისმინეთ იმ ახალი ინიციატივებისა და პროექტების შესახებ, რომლებიც სამინისტროს აქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიოწარმოების ხელშეწყობა, რაც აქტუალურია მთელ მსოფლიოში და მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროში კონკრეტული პროგრამა შემუშავდა აღნიშნული მიმართულებით", - განაცხადა დამსაქმებელთა

ასოციაციის თავმჯდომარემ, ელგუჯა მელაძემ.

შეხვედრა დამსაქმებელთა ასოციაციის პროგრამის „ბიზნესის დიალოგი მთავრობასთან" ფარგლებში გაიმართა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბიზნესსექტორის წარმომადგენელების შეკითხვებს უპასუხა.

ბიზნესის მართვის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურ სატრენინგო პროგრამას ILO საქართველოშიც განახორციელებს

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ბიზნესის მართვის სატრენინგო პროგრამის „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი" განხორციელება დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს მცირე მეწარმეებს იდეების გენერირების, ბიზნესის დაწყების, განვითარებისა და გაფართოებისთვის შესაბამისი უნარების განვითარებაში. ხოლო პროგრამის განხორციელებაში ILO-ს ერთ-ერთ ლიდერ პარტნიორს ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია წარმოადგენს.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში ILO-ს წარმომადგენლებს, პარტნიორებსა და ბენეფიციარებს შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელიც დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში" დირექტორის მოადგილემ თორნიკე სულაბერიძემ და ILO-ს უფროსმა ტექნიკურმა მრჩეველმა კინან ბაჰნასსიმ გახსნეს.

„ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მრავალი წელია, ერთობლივად ახორციელებენ ისეთ პროექტებს, რომლებიც საქართველოში ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს სხვადასხვა მიმართულებით. რაც შეეხება აღნიშნული პროგრამის „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი" წარმატებით გახორციელებას, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია ორი მთავარი მიზნით. ერთი მხრივ, პროექტი ჩვენს ბიზნეს გაერთიანებას შესაძლებლობების ზრდას და მართვის ინსტრუმენტების უნიკალურ პაკეტს გვთავაზობს. მეორე მხრივ, პროგრამა თავისი შინაარსით უზრუნველყოფს, რომ ასოციაციის წევრმა მიკრო და მცირე ზომის დამწყებმა მეწარმეებმა გაიუმჯობესონ ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევები", - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე.

სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა პროექტის მიზნების, შინაარსის, გახორციელების ეტაპებისა და შედეგების შესახებ იმსჯელეს.

ბიზნეს სექტორი EBRD-ის ახალ პროექტს - Trade Ready გაეცნო

ქართული კომპანიების წინაშე მდგარი ორი ძირითადი გამოწვევის - ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურებაზე, საპასუხოდ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD)

ახალი პროექტი თრადე ღეადყ შეიმუშავა.აღნიშნული პროექტის მიზნების, მასში ჩართულობის შესაძლებლობებისა და ბენეფიციარების სარგებლის შესახებ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრ და პარტნიორ კომპანიებს ინფორმაცია ევრობანკის მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებისა და განვითარების გუნდის ხელმძღვანელმა სევერიან ღვინეფაძემ და ევრობანკის TRADE READY წარმომადგენელი საქართველოში ქეთი სიდამონიძე გააცნეს.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია მრავალი წელია EBRD-თან თანამშრომლობს იმ მიზნით, რომ წევრი კომპანიები აქტიურად ჩაერთნენ მათ მიერ გახორციელებულ პროექტებში. აღნიშნულ შეხვედრაზე გაჟღერებული ინიციატივა ჩვენ წევრ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს საშუალებას მისცემს, მიიღონ ვაჭრობის დაფინანსება და ბიზნეს კონსულტაციები. დამსაქმებელთა ასოციაცია წევრ კომპანიებს დაეხმარება, რომ გამოიყენონ აღნიშნული შესაძლებლობა პროექტში ჩართვის გზით," - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

შეხვედრა, რომელსაც 60-მდე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი და EBRD-ის პარტნიორი ბანკების წარმომადგენლები ესწრებოდნენ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

დამსაქმებელთა ასოციაციასა და თუიაფ ჯორჯიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ და საერთაშორისო გამოფენების ორგანიზატორმა თუიაფ ჯორჯიამ (TÜYAP Georgia) სისტემური თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად, ინფორმაციის გაცვლის და კოორდინირებული მუშაობის გასაძლიერებლად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. მემორანდუმი ბიზნეს სექტორისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს ეფუძნება.

აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში მხარეებმა აიღეს ინფორმაციის სისტემატური ურთიერთგაცვლისა და დაგეგმილი გამოფენების შესახებ ბიზნეს სექტორისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

შედეგად, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიები აქტიურად ჩაერთვებიან თუიაფ ჯორჯიას მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო გამოფენებში, რაც მათ საშუალებას მისცემთ გააფართოვონ საქმიანობის არეალი.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და თუიაფ ჯორჯია სამომავლოდ ერთბლივი ღონისძიებების ორგანიზებასაც გეგმავენ.

დამსაქმებელთა ასოციაციასა და „ალტერბრიჯს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაცია და მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯის" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმდა.

მემორანდუმის საგანს წარმოადგენს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და სასწავლო უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, მათი პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება საქართველოს უმაღლესი განათლებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მემორანდუმით ასევე გათვალისწინებული იქნება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული კადრების მომზადება-გადამზადების ხელშეწყობა მათი შემდგომი კარიერული წინსვლის უზრუნველსაყოფად.

მემორანდუმის გაფორმების ცერემონია 15 თებერვალს ,,ალტერბრიჯში" გამართულ საერთაშორისო ფორუმის ,,ტრანსფორმაციული განათლების პერსპექტივები" ფარგლებში

სასწავლო პრაქტიკა - რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ განხორციელებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში კურსის მონაწილეებმა სამშენებლო ობიექტზე სასწავლო პრაქტიკა გაიარეს.

პროგრამის მონაწილეებმა პრაქტიკის

ფარგლებში უშუალოდ სამუშაო ადგილზე განსაზღვრეს საფრთხეები, დაათვალიერეს და აღწერეს არსებული და მოსალოდნელი რისკები. კერძოდ, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებმა ადგილზე შეამოწმეს, თუ რა ფაქტორები შეიძლება გახდეს სამუშაო ადგილზე თანამშრომლებისთვის უბედური შემთხვევის, ან ჯანმრთელობის

გაუარესების განმაპირობებელი.

რისკების იდენტიფიცირების შემდეგ ჯგუფის წევრებმა განსაზღვრეს და ჩამოაყალიბეს გეგმა, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული რისკების მართვა და რა ღონისძიებები უნდა განახოციელოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა პრევენციის მიზნით.

ამრიგად, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია მონაწილეებს სთავაზობს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებას შესაბამისი აღჭურვილობითა და ყველა სხვა საჭირო რესურსის საშუალებით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მის.: 0159 თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. #106

ტელ.: +995 32 2 14 72 72

მობ.: +995 579 555 551

ელ-ფოსტა: employer@employer.ge

ვებ-გვერდი: www.employer.ge